ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №4

19 დეკემბერი, 2025 წელი
12:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

არჩილ ნიჟარაძე, შალვა სუთიაშვილი, თინათინ ნიბლოშვილი, შოთა ქევხიშვილი, გურამ ნიკოლაშვილი, ნოდარ ბოკერია, ოთარ ჩრდილელი და გიორგი ქარდავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ნიჟარაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (**№12-032535142-03; 17.12.2025)**

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

2. **საკითხი:** ნოდარ ცინცაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ **(№19/032535217-03; 18.12.2025)**

მომხსენებელი: მარიამ შარია

თანამდებობა: განმცხადებლის წარმომადგენელი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, არჩილ ნიჟარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

არჩილ ნიჟარაძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს, გაიოზ თალაკვაძეს.

გაიოზ თალაკვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 20,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 19 ნოემბრის MOH 3 25 01322369 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს - 2 353 808,4 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 2 400,0 ათასი ლარი ათასი ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 70,0 ათასი ლარით;
- სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 150.0 ათასი ლარით;
- პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 19,4 ათასი ლარით:
- სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) – 14,9 ათასი ლარით;
- სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 17,9 ათასი ლარით;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) - 275,0 თასი ლარით;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) - 740,0 ათასი ლარით;
- საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) – 10,0 ათასი ლარით;
- თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) - 24,2 ათასი ლარით.

მცირდება:

- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) - პროგრამის ასიგნებები - 122,6 ათასი ლარით;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები – 130,0 ათასი ლარით;
- შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით.

გარდა ამისა, მცირდება ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (კოდი 07 06 01) მომუშავეთა რიცხოვნობა - 6 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) მომუშავეთა რიცხოვნობა - 3 ერთეულით, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის (კოდი 08 01 05) მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	8
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: ნოდარ ცინცაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

არჩილ ნიჟარაძის განცხადებით, პროფესორი, ფიზიკოსი, აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე იყო ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პლაზმის ფიზიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი. გამოჩენილი ქართველი და მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი. მისმა ქართულმა სამეცნიერო სკოლამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამ სკოლის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მუშაობის 46 წლის განმავლობაში ორჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, ამასთანავე არის მსოფლიოს მრავალი აკადემიების საპატიო წევრი. 5 წლის განმავლობაში ნოდარ ცინცაძე ხელმძღვანელობდა პლაზმის ფიზიკის სკოლას იტალიაში, ქალაქ ტრიეში.

ნოდარ ცინცაძეს ყოველწლიურად სამუშაოდ იწვევდნენ მსფოლიოს თითქმის ყველა ცნობილ სამეცნიერო ცენტრსა და ინსტიტუტებში პლაზმის ფიზიკის გასავითარებლად, მათ შორის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში,იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, აზიასა და ევროპის უამრავ ქალაქში. იგი თვეობით ცხოვრობდა აღნიშნულ ქალაქებში, აყალიბებდა შესაბამის სკოლებში კათედრებს და ზრდიდა პლაზმის ფიზიკის დარგის მეცნიერებს. ნოდარ ცინცაძემ გაზარდა მსოფლიო მასშტაბით უამრავი დღესდღეობით წამყვანი დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები.

მსოფლიოს პლაზმის ფიზიკის დარგის ხუთეულში შედის ბატონი ნოდარი. მეტიც, ნოდარ ცინცაძე მსოფლიოს 10 მეცნიერთა შორის იყო მიწვეული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მისი უდიდებულესობის დედოფლის ელიზაბეტ II-ს მიერ ბუკინგემის სასახლეში.

2015 წელს მეცნიერების განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილესთვის და აქტიური პედაგოგიური საზოგადო მოღვაწეობისთვის, აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძეს გადაეცა ქვეყნის უმალესი ჯილდო-ღირსების ორდენი. ნოდარ ცინცაძემ ორჯერ მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ნოდარ ცინცაძე საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად 10 წლის განმავლობაში უძღვებოდა და თავჯდომარეობდა ფიზიკის ოლიმპიადას. საქართველოს განათლების სამინისტრომ ნოდარ ცინცაძე დააჯილდოვა დამსახურებული პედაგოგის მედლით.

ნოდარ ცინცაძემ 2018 წელს მეცნიერების დარგში უმაღლესი ჯილდო-ბრწყინვალების ორდენი მიიღო.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს: გურამ ნიკოლაშვილმა.

გურამ ნიკოლაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მემორიალურ დაფაზე ტექსტურ ნაწილთან ერთად დატანილიყო ბარელიეფიც, რაზეც თინათინ ნიბლოშვილმა უპასუხა, რომ ქალაქ თბილისის მერიის დაფინანსებით დამზადებული მემორიალური დაფების დიზაინის სტანდარტები დადგენილია და ამ სტანდარტების გათვალისწინებით, შესაბამისი მიზანშეწონილობის კომისია იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ნოდარ ცინცაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

არჩილ ნიჟარაძე